დავით კაკაბაძის ორი სერია: ბრეტანის და იმერეთის პეიზაჟები

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი: ხათუნა ციხელაშვილი





2023 წელი

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: მოსწავლეებში მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და პრაქტიკული სამუშაოსთვის საჭირო უნარების გამომუშავება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მეთოდი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლე ხელოვნების ნიმუშის კონტექსტში აღქმას სწავლობს. ასევე მეთოდი მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გაღვივებას უწყობს ხელს.



რესურსის მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლემ უნდა მოახერხოს საკუთარი შთაბეჭდილებისა და განწყობის გადმოცემა ნამუშევრის შექმნის დროს. ამასთანავე, მოსწავლემ უნდა შეძლოს დავით კაკაბაძის სურათების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი. ისაუბროს ნამუშევრების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ამოიცნოს ეპოქისა და სტილის ნიშნები. დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა მოახერხოს დავით კაკაბაძის ორივე სერიაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ხოლო დისკუსიისას საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთება.



1. გაკვეთილის თემა: დავით კაკაბაძის იმერეთისა და ბრეტანის პეიზაჟების სერია

დავალების მიზანი: მოსწავლეებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გაღვივება. საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე ნამუშევრების შექმნა. ნამუშევრების საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გადმოცემა.

აქტივობა კლასში:

ნაბიჯი 1

საკითხავ მასალაზე დაყრდნობით მასწავლებელი მოსწავლეებს დავით კაკაბაძის პეიზაჟების სერიაზე ესაუბრება. პრეზენტაციის დახმარებით მასწავლებელი მოსწავლეებს იმერეთისა და ბრეტანის პეიზაჟებს ათვალიერებინებს. ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ სახვითი ხელოვნების დარგი და ჟანრი. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის სახვითი საშუალებები და ხერხები, რომლებსაც მხატვარი იყენებს. ბავშვებმა უნდა გამოთქვან მასალების შესახებ ვარაუდი. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ეპოქა და მიმდინარეობა.

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ბავშვებს აძლევს კლასში შესასრულებელ (არჩევით) **დავალებას:**

ნაბიჯი 2

დავალება 1. ბრეტანის პეიზაჟების ინსპირაციით (შთაგონებით) შექმნან აკვარელის გამოყენებით მათთვის სასურველი გარემოს პეიზაჟი. ნამუშევრის შექმნის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ აკვარელის მასალის ხასიათი. ქაღალდზე ერთი პატარა წვეთიც საკმარისია, რომ ფერი "ფართოდ გაიშალოს". ამიტომ თავიდანვე მოსწავლეებმა აკვარელის გამოყენების სწორი სტრატეგია უნდა შეარჩიონ.

დავალება 2. აკვარელის საღებავის გარდა, სხვა ნებისმიერი მასალის გამოყენებით მოსწავლეებმა იმერეთის პეიზაჟების ინსპირაციით (შთაგონებით) შექმნან საკუთარი სოფლის, რაიონის ან მათთვის სასურველი ადგილის პეიზაჟი.

ნაბიჯი 3

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მასწავლებელმა შესრულებული დავალების შესახებ ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებითი განმავითარებელი შეფასება უნდა მისცეს ბავშვებს.

2. გაკვეთილის თემა: მოდერნიზმი და დავით კაკაბაძე

დავალების მიზანია მოსწავლეებში ნამუშევრების კონტექსტში აღქმისა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის უნარის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი ანალიზის ტექნიკას მიმართავს. ამ მეთოდის განხორციელებისას მთავარია მოსწავლეებმა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზრონ და გაანალიზონ საკითხი.

აქტივობა კლასში:

ნაბიჯი 1

პრეზენტაციის დახმარებით მასწავლებელი დავით კაკაბაძის პეიზაჟებს (პრეზენტაციას) მოსწავლეებს ათვალიერებინებს. ნამუშევრებზე დაკვირვების შედეგად მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ნამუშევრები. საკითხავი მასალის გამოყენებით კი მასწავლებელი მოსწავლეებს დავით კაკაბაძეს, როგორც მოდერნისტ მხატვარს, ისე აცნობს.

ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი ანალიზის მეთოდი[1]:

ნაბიჯი 2

1. **მომზადება** - პირველ ეტაპზე საჭიროა, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები ნამუშევრის ანალიზისთვის მოამზადოს. თავდაპირველად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ მათი აზრი ნამუშევრების შესახებ მნიშვნელოვანია. ასევე მასწავლებელმა უნდა უთხრას მოსწავლეებს, რომ მისაღებია ერთი და იმავე ნამუშევარზე სხვადასხვა აზრის არსებობა. ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს დავით კაკაბაძის შესახებ პრეზენტაციას აჩვენებს და ნამუშევრებს ათვალიერებინებს.
2. **შთაბეჭდილების გამოხატვა** - მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან/დაწერონ თავინთი პირველი შთაბეჭდილება.
3. **აღწერა** - ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ყველა იმ საგნის, გამოსახულების, თუ დეტალის დასახელება, რომლებიც ნამუშევრებზეა წარმოდგენილი. აღწერის დროს მთავარია მოსწავლეებმა გაიაზრონ ნამუშევრები რას გადმოსცემს, რა არის დახატული/წარმოდგენილი.
4. **ანალიზი** - ანალიზის დროს მოსწავლე უკვე იწყებს ფიქრს/მსჯელობას აღწერის დროს დასახელებული საგნები/გამოსახულებები რომელი მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით არის გადმოცემული. ამ ეტაპზე მოსწავლე ცდილობს შინაარსი და ფორმა ერთმანეთს დაუკავშიროს.

[1] ნანა მაჭარაშვილი, "ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები" გვ. 109; 110; 111

ნაბიჯი 2

ამ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

1. რომელ მხატვრულ საშუალებებსა და ხერხებს იყენებს მხატვარი?
2. როგორ დაახასიათებდით ნამუშევრების ფერწერულ გადაწყვეტას?
3. რა მხატვრულ ეფექტს იძლევა სხვადასხვა მასალაში (აკვარელი, ზეთი) შესრულებული ნამუშევრები?
4. სახვითი ხელოვნების რომელ მიმდინარეობას მიაკუთვნებთ ნამუშევრებს?
5. ჩამოთვალეთ სტილისტური ნიშნები, რომლის მიხედვითაც მიიჩნევთ, რომ დავით კაკაბაძის ნამუშევრები კონკრეტულ მიმდინარეობას ეკუთვნის.

2. **ინტერპრეტაციის ეტაპი** - ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ინტერპრეტაციის უნარის გაღვივება. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან საკუთარი აზრი ნამუშევრების შესახებ. ასევე მათ უნდა ისაუბრონ თავიანთ ემოციებსა და განწყობებზე, რომელიც ნამუშევრების დათვალიერებისა და ანალიზის დროს გაუჩნდათ.

ნაბიჯი 3

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მასწავლებელმა შესრულებული დავალების შესახებ ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებითი განმავითარებელი შეფასება უნდა მისცეს ბავშვებს.



3. გაკვეთილის თემა: იმერეთის პეიზაჟი: დასავლური და აღმოსავლური გავლენები

აქტივობა კლასში:

დავალების მიზანია მოსწავლეებმა გაითავისონ, თუ რას ნიშნავს ხელოვნებათმცოდნე-კრიტიკოსის პროფესია. რა სირთულებს შეიძლება გადააწყდეს კრიტიკოსი და როგორ არის შესაძლებელი ამ სირთულეების დაძლევა. შესაბამისად, ეს დავალება ლოგიკურთან ერთად შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენას ითვალისწინებს. მოსწავლეებმა თავად უნდა აირჩიონ თხრობის სტრატეგიები და ის საკითხები, რომელზეც სურთ ყურადღების გამახვილება.

ნაბიჯი 1

საკითხავ მასალაზე დაყრდნობით მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს ქართული ხელოვნების განმსაზღვრელ კულტურულ ტენდენციებს - ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გავლენებს. მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება გაიხსენონ ხელოვნების ნიმუშები, სადაც ორივე კულტურის ნიშნები არის ასახული. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ნამუშევარს: მაგალითად, ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი, ნიკო ფიროსმანაშვილის "დიდი ნატურმორტი" და ა.შ.

ნაბიჯი 2

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს დროში მოგზაურობას. მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ მეოცე საუკუნეში გადაინაცვლეს და პირველად ესწრებიან დავით კაკაბაძის გამოფენას. მასწავლებელი კლასში გამოფენს იმერეთისა და ბრეტანის პეიზაჟებს (მაქსიმუმ 10 ამობეჭდილი ნამუშევარი). ბავშვები მოძრაობენ კლასში, ათვალიერებენ ნამუშევრებს, მსჯელობენ ახალგაზრდა მხატვრის პოტენციალზე. გამოფენის დათვალიერების დროს კი საუბრობენ დასავლურ და აღმოსავლურ გავლენებზე.

ნაბიჯი 3

დავალება: მოსწავლეებმა კრიტიკოსის ფუნქცია უნდა შეითავსონ და გამოფენის შესახებ წერილი დაწერონ. ამავდროულად, უნდა გაითვალისწინონ, რომ ტექსტის თხრობა საინტერესოდ უნდა წარიმართოს. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ დავით კაკაბაძის ნამუშევრებზე, აღმოსავლურ და დასავლურ გავლენებზე, ჟანრზე, გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებსა და მასალაზე. ბავშვებმა ასევე ყურადღებით უნდა განიხილონ ექსპოზიცია. კრიტიკული აზრის გამოთქმისას უნდა იყვნენ კორექტულები, ხოლო აზრი უნდა იყოს ნათლად გადმოცემული.

ნაბიჯი 4

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მასწავლებელმა შესრულებული დავალების შესახებ ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებითი განმავითარებელი შეფასება უნდა მისცეს ბავშვებს.

4. გაკვეთილის თემა: ხელოვნების ფუნქცია ტოტალიტარულ სახელმწიფოში

დავალების მიზანია ხელოვნების მდგომარეობის გააზრება ტოტალიტარული (საბჭოთა) მმართველობის სახელმწიფოში.

აქტივობა კლასში:

ნაბიჯი 1

საკითხავ მასალაზე დაყრდნობით მასწავლებელი მოსწავლეებს მეოცე საუკუნის ისტორიულ კონტექსტს ახსნებს. ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ნამუშევარს (პრეზენტაციას) "იმერეთის პეიზაჟი, მიტინგი". მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს შთაბეჭდილების გაზიარებას და უმცირესი დეტალების შემჩნევას. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხრობს ამბავს/ისტორიას სტალინისა და ლავრენტი ბერიას პორტრეტების წაშლის შესახებ.

ნაბიჯი 2

გაეცანით 1928 წელს გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნებული სტატიიდან ამონარიდს. სტატია პარიზიდან დაბრუნებული დავით კაკაბაძის სურათების გამოფენის შესახებ არის.

"გამოფენილი სურათები მნახველთა გაკვირვებას იწვევენ. გასაგებიც არის, რადგან ასეთი გამოფენა, ჩვეულებრივი ევროპული გაგებით, თბილისში პირველად ეწყობა და კედლებზე არ სჩანს გართობის, ნუგეშის და მორალის გადმომცემი სურათები... ერთი კი ცხადია, რომ ვიმყოფებით კომუნისტურ სახელმწიფოს პირობებში და ყოველი მოვლენა ორგანიზაციული გზით უნდა უერთდებოდეს რევოლიუციონურ სინამდვილეს".

"კომუნისტი" 1928 წ. 9 მაისი

ნაბიჯი 3

კლასში გამართეთ დისკუსია. იმსჯელეთ, სადისკუსიო კითხვებზე დაყრდნობით: რა ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნული სტატია გამოფენის შესახებ? რას "უწუნებს" ავტორი დავით კაკაბაძის სურათებს? როგორ ფიქრობთ, ზოგადად, რა თემებზე უნდა საუბრობდეს ხელოვნება? რატომ ებრძვის იდეოლოგია თავისუფალ ხელოვნებას? რატომ უნდოდა საბჭოთა იდეოლოგიას ხელოვნების საკუთარ სამსახურში ჩაყენება? ეშიანია თუ არა ტოტალიტარულ სახელმწიფოს ხელოვნების? რა აქცევს ხელოვნებასა და ზოგადად ხელოვანებს ასე "საშიშად"? თქვენი აზრით, რაში გამოიხატებახელოვანისა და მაყურებლის თავისუფლება?

ნაბიჯი 4

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მასწავლებელმა შესრულებული დავალების შესახებ ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებითი განმავითარებელი შეფასება უნდა მისცეს ბავშვებს.